

K 98 845
3

საქართველოს
ბიბლიოთეკა

ს. კატოლიკევი

საქართველოს
მუშაობანი ქანები
საბჭოთა
საინსუფინაციისათვის
გამოცემა

8

საქართველოს
ბიბლიოთეკის
საინფორმაციო ცენტრი
000004 თბილისი
საბჭოთა

საქართველოს ბიბლიოთეკა - ინფორმაცია

1961

396/192

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კონდიტიკური

და გამსწორებული ცოდნის გაუმჯობესებელი საზოგადოება

ა. ართილაშვი

კვ. 8. 8. 3

საქართველოს მშრომელი ქალები
საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში

სკეპ-2000
შემოწმებულია



თბილისი

1961

გიორგი სერგოველი



პირველი სერიის ხელმომწერთა საყურადღებოდ

გამოიცა და ხელმომწერლებს დაეგზავნათ შემდეგი ბროშურები:

1. ვ. რეხვიაშვილი — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა თანამედროვე ეტაპზე.
2. ს. ბარამიძე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის X ყრილობა და მისი გადაწყვეტილებანი.
3. შ. მესხია — საქართველო უძველესი კულტურისა და გმირული წარსულის ქვეყანაა.
4. შ. ნოზაძე — თანამედროვე წელთაღრიცხვის წარმართობა.
5. ა. მაღლაკელიძე — ვალდიებული აფრიკა.
6. დ. ენუქიძე — ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ექსპლოატორი.
7. ვ. დონაძე — ბირმა დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე.

ბროშურების მიუღებლობის შემთხვევაში მიმართეთ ადგილობრივა ფოსტის განყოფილებას.

საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი

ქალთა საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მარქსიზმ-ლენინიზმში. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ცარიზმისა და კაპიტალიზმის პირობებში მშრომელი ქალები დაბეჩავებულ, მონურ მდგომარეობაში იმყოფებიან. მონური მდგომარეობიდან ქალთა განთავისუფლება და მამაკაცებთან უფლებრივად გათანასწორება შესაძლებელია მხოლოდ მემამულეებისა და კაპიტალისტების ძალაუფლების დამხობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საფუძველზე.

ბოლშევიკურმა პარტიამ, რომელიც რუსეთში ლენინის მეთაურობით სათავეში ჩაუდგა მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას, მშრომელი ქალები დარაზმა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მშრომელმა ქალებმა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განვლეს რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლების დიადი გზა.

ითვალისწინებდა რა რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქალის როლს, ლენინი წერდა: „ყველა განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებიდან ვიცით, რომ რევოლუციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მონაწილეობენ მასში ქალები“.¹

ცნობილია, რომ ჩაგრული კლასების არც ერთი დიდი მოძრაობა არ ჩატარებულა ისე, რომ მასში მონაწილეობა არ მიეღოს ქალებს. მონების განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მრავალი გმირი ქალი წარმოშვა. ყმების განმათავისუფლებელ ბრძოლაში მრავალი ქალი იღებდა მონაწილეობას. „გასაკვირველი არ არის, — წერდა ი. ბ. სტალინი, — რომ მუშათა კლასის რევოლუციურმა მოძრაობამ, ჩაგრული მასების განმათავისუფლებელ მოძრაობათა შორის ყველაზე მძლავრმა მოძრაობამ, თავისი დროშის ქვეშ მოიხიდა მილიონობით მშრომელი ქალი... მუშა და გლეხი ქალები, მუშათა კლასის უდიდეს რეზერვს წარმოადგენენ. ეს რეზერვი ნახევარ მოსახლეობას მაინც

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 208—209.



შეადგენს. მუშათა კლასის მხარეზე იქნება ქალთა რეზერვი თუ მის წინააღმდეგ, — ამაზეა დამოკიდებული პროლეტარული მოძრაობის ბედი, პროლეტარული ხელისუფლების გამარჯვება თუ დამარცხება, პროლეტარული ხელისუფლების გამარჯვება თუ დამარცხება.¹

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთში ქალები მამაკაცებთან ერთად გმირულად აწარმოებდნენ თავგანწირულ ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის დასამხობად. ამავე მიზნით ენერგიულად იბრძოდნენ აგრეთვე ქართველი ქალებიც.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებისა და სტოლიპინის შავი რეაქციის შემდეგ რუსეთში კიდევ უფრო გაიშალა მუშაობა მშრომელ ქალთა შორის. ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1914 წლის 8 მარტს პეტერბურგში გამოიცა ჟურნალი „რაბოტნიცა“, რომელშიც სისტემატურად შექმდებოდა მრავალი საინტერესო საკითხი მუშა ქალების ცხოვრებიდან. ბოლშევიკური პარტიის რიგებში მოღვაწეობდნენ პოლიტიკურად მომზადებული ქალები — მარიამ და ანა ილიას ასული ულიანოვები, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია, ინესა თედორეს ასული არმანდი, ალექსანდრა მიხეილის ასული კოლონტაი, როზალია სამუელის ასული ზემლიაჩკა, ოლდა ათანასეს ასული ვარენცოვა, ელენე დიმიტრის ასული სტასოვა და სხვ. ისინი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ მშრომელ ქალთა შორის არა მარტო რუსეთში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. მშრომელ ქალთა პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი გაზეთმა „პრავდამ“. ვ. ი. ლენინის მითითებით „პრავდაში“ შეიქმნა სპეციალური განყოფილება „სტრანიჩკი ბოლშევიჩკა“, რომელშიც მშრომელ ქალთა საჭირბოროტო საკითხები შექმდებოდა.

1914 წლის ივლისში დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. „პრავდა“ უხსნიდა მშრომელ მასებს ომის იმპერიალისტურ ხასიათს, მიუთითებდა, რომ ამ საშინელებისაგან თავის დაღწევა შეიძლებოდა მხოლოდ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევით.

1915 წლის მარტში რსდმპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ქალთა ორგანიზაციების ინიციატივით მოწვეულ იქნა ქალთა საერთაშორისო კონფერენცია ბერნში. კონფერენციას ესწრებოდა 25 დელეგატი რუსეთიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, პოლანდიდან, შვეიცარიიდან, იტალიიდან და პოლონეთიდან. რსდმპ

¹ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 7, გვ. 53—54.



ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა ნ. კ. კრუპსკაიის და ი. თ. არმანდმა შეიტანეს რეზოლუცია, რომელიც წინადადებას იძლეოდა იმპერიალისტური ომი გადაეჭკიათ სამოქალაქო ომად, ყველა ქვეყნის მუშათა კლასს იარაღი მიემართა თავისი ქვეყნის ბურჟუაზიისა და მტარვალეების წინააღმდეგ. ეს რეზოლუცია არ იქნა მიღებული უმრავლესობის მიერ. ინგლისის, საფრანგეთის, შვეიცარიის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები გამოვიდნენ სოციალ-შოვინიზმის აშკარა დამცველებად, მათ მხარი არ დაუჭირეს რუსეთის ქალთა წარმომადგენლების რეზოლუციას. ბერნის კონფერენციის შედეგები შეაჯამა ვ. ი. ლენინმა სტატიაში „სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ“, სადაც მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა სოციალ-შოვინიზმის დამცველები და მიუთითა, რომ „ქალთა კონფერენცია კი არ უნდა დახმარებოდა შეიდემანს, ჰააზეს, კაუცკის, ვანდერველდეს, ჰაინდმანს, გედსა და სამბას, პლენანოვსა და მისთანებს მუშათა მასების მიძინებაში, არამედ, პირიქით, მას უნდა გამოეფხიზლებინა ეს მასები, უნდა გამოეცხადებინა გადამწყვეტი ომი ოპორტუნიზმთან. მხოლოდ მაშინ გვექნებოდა პრაქტიკულ შედეგად არა ხსენებული „ბელადების“ „გამოსწორების“ იმედი, არამედ ძალთა შეკრება ძნელი და სერიოზული ბრძოლისათვის“.¹

აქ ნათლად ჩანს ის ოპორტუნისტული გავლენა, რომელსაც დსავლეთ ევროპის მუშათა შორის ავრცელებდნენ სოციალ-დემოკრატები, მუშათა კლასის ინტერესების ცრუ დამცველები და მატყუარები. ისინი ჩქმაღავდნენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათს, ამ კლასთა შორის არსებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, ცდილობდნენ განეიარაღებინათ მუშათა კლასი, ჩამოეშორებინათ ისინი თავიანთი პირდაპირი საქმისაგან, დაერწმუნებინათ, რომ კაპიტალიზმი უმტკივნეულოდ შეიცვლება სოციალიზმით, რომლის ქადაგებას დღესაც განაგრძობენ სოციალ-რეფორმისტები, მემარჯვენე სოციალისტები. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბერნის კონფერენციაზე ქალთა უმრავლესობა დაადგა ოპორტუნისტების გზას.

ვ. ი. ლენინი სტატიაში „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“ მიუთითებს, რომ იმპერიალიზმი არის დიდ სახელმწიფოთა გაათფრებული ბრძოლა მსოფლიოს დანაწილებისათვის, — ამიტომ

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 234.



ის იწვევს ყველა ქვეყნის მილიტარიზაციას. ლენინი აქ გვაძლევს პროლეტარი ქალების როლის განსაზღვრას და ამბობს, რომ პროლეტარი ქალები არა მარტო დასწყევლიან ომს, არამედ ისინი ეტყვიან თავის შვილებს: „შენ მალე დიდი გაიზრდები. შენ მოგცემენ თოფს. მოჰკიდე მას ხელი და კარგად ისწავლე სამხედრო საქმე. ეს მეცნიერება აუცილებლად საჭიროა პროლეტარებისათვის—არა იმისთვის, რომ ესროლო შენს ძმებს, სხვა ქვეყნის მუშებს, როგორც ეს ხდება ახლანდელ ომში და როგორც გირჩევენ შენ მოიქცე სოციალიზმის მოღალატენი,—არამედ იმისათვის, რომ იბრძოლო შენი საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ ბოლო მოუღო ექსპლოატაციას, სიღატაკეს და ომებს არა კეთილის სურვილების გზით, არამედ ბურჟუაზიაზე გამარჯვებით და მისთვის იარაღის აყრით“.¹

ლენინის ამ სიტყვებმა უდიდესი რევოლუციური როლი შეასრულა რუსეთის მშრომელ ქალთა დარაზმვისა და რევოლუციურ მოძრაობაში მათი ჩაბმის საქმეში. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უდიდეს ყურადღებას მშრომელ ქალთა რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში ისიც ადასტურებს, რომ როცა ლენინმა 1916 წელს ეურნალ „სოციალ-დემოკრატიის“ გამოცემის გეგმა შეადგინა, მასში შეიტანა თემა „მუშა ქალთა მოძრაობა“.

მშრომელ ქალებზე დიდი გავლენა მოახდინა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილმა ცენტრალური კომიტეტის მანიფესტმა „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“, რომელშიც განმარტებული იყო ომის ხასიათი და მიზნები, კერძოდ, „სხვა ერების მიწების დაპყრობა და ამ ერების დამორჩილება, მეტოქე ერის გაჩანაგება, მის სიმდიდრეთა გაძარცვა, მშრომელი მასების ყურადღების ჩამოშორება რუსეთის, გერმანიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების შინაური პოლიტიკური კრიზისებისაგან, მუშების გათიშვა და ნაციონალისტური გაბრიყვება და მათი ავანგარდის განადგურება პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის დასუსტების მიზნით — ასეთია თანამედროვე ომის ერთადერთი ნამდვილი შინაარსი, მნიშვნელობა და აზრი.“²

რსდმპ (ბ) მუშა ქალების მიერ 1915 წლის 23 თებერვალს გამოცემულ პროკლამაციებში ნათქვამი იყო: „ქალებო! მუშა ქალებო! ჩვენი შვილები მთავრობამ კაპიტალს მიჰყიდა ჯვარზე საცემლად. მან ჩამოაყალიბეთ თქვენი ორგანიზაციები, შემჭიდროვდით ფაბრიკებსა და სახელოსნოებში, დახლებსა და კანტორებში. ავიმადლოთ ხმა გა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 99.
² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 15.

უმაღლარი კაბიტალის წინააღმდეგ. კმარა სისხლის ღვრა, ძირს ომი
სახალხო გასამართლება ავაზაკურ თვითმპყრობელურ მთავრობას.¹

1915 წელს ვ. ი. ლენინის დავალებით ალექსანდრა კოლონტარნი
დაწერა ბროშურა (ჯარისკაცებისა და ტყვეებისათვის) „ვის სჭირ-
დება ომი“, რომელსაც დიდი გატაცებით კითხულობდნენ მშრო-
მელი ქალებიც. მშრომელმა ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიი-
ღეს 1915 წლის აგვისტოში პეტერბურგის კომიტეტის მიერ გამო-
ცემულ ომის საწინააღმდეგო მოწოდების გავრცელებაში. მოწოდე-
ბაში — „ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო!“ — მხილებული იყო
ცარიზმის დანაშაული ომის გაჩაღების საქმეში. მოწოდება განუ-
მარტავდა მშრომელ მასებს, რომ იმპერიალისტური ომის შეწყვეტა
და მისი სამოქალაქო ომად გადაქცევა შეუძლია მხოლოდ პროლე-
ტარიატს გლეხობასთან კავშირში. იმპერიალისტური ომი ძირს უთ-
ხრიდა, ანგრევდა მთელი რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებას. საერ-
თო ნგრევამ განსაკუთრებული ძალით პოვა გამოხატულება 1916
წლის შემოდგომაზე. დაიწყო სასურსათო კრიზისები. გაჩაღდა პუ-
რის არაჩვეულებრივი სპეკულაცია. ომის პირველ წელს პურის ფა-
სებმა 500%-ზე მეტად აიწია, ხოლო შრომის ხელფასი მხოლოდ
190%-ით გაიზარდა. მსხვილ სამრეწველო ცენტრებში მათთვის სა-
ჭირო პურის მხოლოდ მესამედს ღებულობდნენ.

რუსეთის იმპერიაში მასების უკმაყოფილება ფართო ხასიათს
იღებდა, რაც შემდეგ საყოველთაო საგაფიცვო მოძრაობად გადაიქ-
ცა. პეტროგრადსა და მოსკოვში პურის შეტანა თითქმის მთლიანად
შეწყდა. კიდევ უფრო გახშირდა პურის რიგებში მდგომ მშრომელ-
თა საპროტესტო გამოსვლები. დაიწყო სასურსათო სავაჭროების
დარბევა, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქალები.
მეფის ოხრანკა მინისტრისადმი იანვარში გაგზავნილ მოხსენებაში
წერდა: „ოჯახების დედები ღუქნებთან რიგებში დაუსრულებლად
დგომით დაქანცულნი, თავიანთი ნახევრად მშვიერი და ავადმყოფი
ბავშვების ცქერით დატანჯულნი, შეიძლება ითქვას, ამჟამად გაცი-
ლებით უფრო საშიში არიან, ვინაიდან საწვავი მასალის იმ საწყობს
წარმოადგენენ, რომლისთვისაც ერთი ნაპერწკალი კმარა, რომ ხან-
ძარბა იფეთქოს.“²

სამეურნეო ნგრევამ საქართველოშიც პირდაპირ კატასტროფუ-

¹ „კრასნი არხი“, 1938, № 2, გვ. 15.
² „სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში“, გვ. 115.



ლი ხასიათი მიიღო. საქართველოს, როგორც მეფის რუსეთის კოლონიის, ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას შეგნებულად აფერხებდა ცარიზმი. სოფლის მეურნეობას, ისე როგორც მთელ რუსეთში, დიდი რაოდენობით დააკლდა მუშახელი. სოფელში დარჩენილი ქალები, ბავშვები და მოხუცები დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო სურსათის დარგში. სასურსათო მალაზიების წინ იქმნებოდა დაუსრულებელი რიგები. მშრომელ ქალებს პურის რიგებში მთელი ღამის გათენება უხდებოდათ. ხშირი იყო შემთხვევები, რომ ნახევარზე მეტი უპუროდ რჩებოდა. უზარმაზარი რიგები მიტინგებისა და რევოლუციური პროკლამაციების როლს ასრულებდნენ. ავტატორი ქალები ამ რიგებში უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ, უხსნიდნენ მშრომელ მასებს, თუ ვინ იყო მათი მდგომარეობის გაუარესების მიზეზი.

მსგავსად რუსეთის სამრეწველო ცენტრებისა, საქართველოშიც თანდათან მწვავედებოდა მშრომელთა უკმაყოფილება. აქაც წარმოიშვა მასობრივი სტიქიური მოძრაობა — „ქალთა ბუნტები“. პირველად ეს მოძრაობა დაიწყო ამიერკავკასიის დიდ სამრეწველო ცენტრში — ბაქოში 1916 წლის თებერვალ-მარტში და შემდეგ იგი მოედო საქართველოს მნიშვნელოვან ცენტრებს — თბილისს, სოხუმს, ქუთაისს, სამტრედიას, კულაშს და სხვა ქალაქებსა და სოფლებს. მეფის ოხრანკა სასტიკად უსწორდებოდა მშრომელი ქალების სტიქიურ გამოსვლებს. მარტო ბაქოში უმთავრესად ქალებისაგან შემდგარი ჯგუფისათვის ტყვიის დაშენის შედეგად მოკლულ და დაჭრილ იქნა 66-ზე მეტი დემონსტრანტი.

მაგრამ ჯარისკაცებში თანდათან ფეხს იკიდებდა რევოლუციური შეგნება და ისინი უარს აცხადებდნენ ესროლათ ქალებისათვის. სოხუმის ოლქის უფროსი გენერალი 1916 წლის 11 ივლისის საიდუმლო მოხსენებაში ზემდგომ ორგანოებს აცნობებდა: „მე ზუსტი ცნობები მქონდა იმის შესახებ, რომ გარნიზონი: სათადარიგო ასეული, კახაკთა ნახევარი ასეული და აგრეთვე ჯარისკაცები, რომლებიც ოლქში იმყოფებიან პოლიციის დასახმარებლად, ქალების მხარეზე იყვნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ: „ქალებს დაეხმარებით, თუ პოლიციის მხრივ რაიმე ძალადობას ექნება ადგილი“.

ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებამ კიდევ უფრო გაამწვა კლასობრივი ბრძოლა. 1916 წლის მეორე ნახევარში გაძლიერდა საგაფიცო მოძრაობა. 1916 წლის ივნისში ადელხანოვის სა-



ხელოვნოს გაფიცული 137 მუშის ორი მესამედი ქალები იყვნენ, რომლებმაც მოითხოვეს ხელფასის მომატება და სამუშაო დღის შემცირება. მეფაბრიკეები იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ მათი მოთხოვნები.

1916 წლის 25 ივნისს გაფიცვა გამოაცხადეს სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მუშა ქალებმა, რომლებმაც მოითხოვეს სამუშაო ხელფასის 50⁰/₀-ით გადიდება. მათი მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული. მეფაბრიკემ გაფიცული მუშები დაითხოვა.

8 აგვისტოს თბილისის სადგურის დეპოსა და სავაგონო პარკის მუშებმა მუშაობა შეწყვიტეს ხელფასის თავის დროზე მიუღებლობის გამო. პირველ სექტემბერს გაფიცვა გამოაცხადა გორის თამბაქოს ქარხნის 153 მუშამ, რომელთა შორის 94 ქალი იყო. გაფიცულმა მუშებმა მეწარმეებს მოსთხოვეს: ხელფასის მომატება, სამუშაო დღის შემცირება, ადამიანური მოპყრობა და იმის გარანტია, რომ საერთო თანხმობის გარეშე არც ერთი მუშა არ დაეთხოვათ სამუშაოდან და სხვ. გაფიცვა ერთთვეზე მეტ ხანს გაგრძელდა; მას მტკიცე ხასიათი ჰქონდა, რის შედეგადაც გაფიცულმა მუშებმა მოახოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას მიაღწიეს. 4 სექტემბერს გაფიცვა მოეწყო ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში, გაფიცულთა უმეტესობა ქალები იყვნენ.

1916 წლის 12 სექტემბერს მაკარონის ფაბრიკის მუშა ქალებმა მოითხოვეს ხელფასის მომატება და სამუშაო დღის შემცირება. ოქტომბერში გაფიცვა გამოაცხადა ენფინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის 400 მუშამ, რომელთა შორის 300 ქალი იყო. ნოემბერში გაიფიცნენ ენფინჯიანცისა და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშები. მუშათა საგაფიცვო მოძრაობა, რომლის მონაწილეთა ნახევარს ქალები შეადგენდნენ, თანდათან ძლიერდებოდა და ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა, რის შესახებაც თბილისის პოლიციის უფროსი პოლიციის დეპარტამენტს სწერდა: „გაფიცევებს ორგანიზებული ხასიათი აქვს“.

ომის წლებში წარმოებულ მუშათა საგაფიცვო მოძრაობას. მართალია, ეკონომიური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ამ გაფიცვებმა დიდად შეუწყო ხელი მუშათა კლასის პოლიტიკური თვითშეგნების ამადლებას. 1916 წლის ბოლოს მუშები, არა მარტო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვდნენ, არამედ პოლიტიკურ

ლოზუნგებსაც აყენებდნენ: „ძირს თვითმპყრობელობა!“,
იმპერიალისტური ომი!“

ამ მხარდი რევოლუციური მოძრაობის მაორგანიზებელი და ხელმძღვანელი ძალა იყო ბოლშევიკური პარტია. ამიტომ დაიწყო სასტიკი რეპრესიები ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ. 1916 წლის აგვისტოში დააპატიმრეს ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი პარტიული აქტივი, მათ შორის მრავალი ქალი იყო. მაგრამ მეფის ოხრანკის რეპრესიებმა ვერ შეძლო რევოლუციური ტალღის შეჩერება. ბოლშევიკურმა პარტიამ კიდევ უფრო გააძლიერა ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

პეტროგრადის ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით 1917 წლის იანვარში დაიწყო მუშათა გაფიცვები. ვიბორგისა და ნარვის რაიონებში თითქმის არც ერთი საწარმოო არ მუშაობდა. მუშებმა საგაფიცვო მოძრაობიდან დემონსტრაციებზე გადასვლა იწყეს. იანვრის განმავლობაში გაფიცულთა რაოდენობა მთელ რუსეთში 200 ათასზე მეტი იყო. 20 თებერვალს სამსონოვის პროსპექტზე, პურ-ფუნთუშის საცხოზის მახლობლად, შეიქმნა დიდი რიგები. რიგში მყოფ ქალთა უმრავლესობა წინა ლამიდან იყო დამდგარი. 10 საათი იყო და პურის მაღაზიებს არ აღებდნენ. პურის საცხოზის გამგემ რიგში მდგომთ გამოუცხადა, რომ პური მხოლოდ ნასადილევს იქნება და ისიც მცირე რაოდენობით. განაწამებმა და აღელვებულმა ქალებმა ატეხეს ხმაური, რომელიც შემდეგ ქალთა „ბუნტში“ გადაიზარდა. მშვიერმა ქალებმა დაარბიეს პურ-ფუნთუშის საცხოზები, შემდეგ დაიძრნენ ქარხნებისაკენ და მოითხოვეს ქმრები გამოსულიყვნენ გარეთ. ვიბორგის მხარის ყველა ფაბრიკა-ქარხნის მუშაობა შეწყდა. მამაკაცები შეუერთდნენ ქალებს და გამოვიდნენ ქუჩებში.

22 თებერვალს პუტილოვის ქარხნის მუშებმაც შეწყვიტეს მუშაობა. 23 თებერვალს 30 ათასი მუშა ქალი და კაცი დაიძრა ქალაქისაკენ. 23 თებერვალს (8 მარტს ახ. სტ.) ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა პოლიტიკური გაფიცვით აღენიშნათ ქალთა საერთაშორისო დღე. ამ დღეს 90 ათასი მუშა ქალი და მამაკაცი იყო გაფიცული. პოლიტიკური გაფიცვა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ საერთო პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. 24 თებერვალს გაფიცულთა რიცხვმა 200 ათასს მიაღწია.

რაიონებში დაწყებული პოლიტიკური გაფიცვები 25 თებერვალს მთელი პეტროგრადის მუშათა საყოველთაო გაფიცვად გადავიდა. გაფიცულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქალები იყვნენ, ისინი ხმამაღლა, უშიშრად აცხადებდნენ: „უმჯობესია მოგვედეთ ბარაკებზე, ვიდრე ვუყურებდეთ ჩვენი ბავშვების შიმშილით სიკვდილს!“. ჩვენ გვინდა: „ზავი, პური, თავისუფლება!“

მუშების შეტაკებები პოლიციასთან სულ უფრო გააფთრებული ხდებოდა. 25 თებერვალს გამოშვებულ იქნა ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტის პროკლამაცია, რომელიც მოუწოდებდა მუშებს აჯანყებისაკენ: „ჩვენ წინ ბრძოლაა, — ნათქვამია პროკლამაციაში, — მაგრამ ჩვენ გამარჯვება მოგველის! ყველანი შემოიკრიბეთ რევოლუციის წითელი დროშების ირგვლივ! ძირს მეფის მონარქია!“. 26 თებერვალს აჯანყებულთა ხელში გადავიდა ვიბორგი. გაძლიერდა აგიტაცია ჯარში. მუშა ქალები ყაზარმებში შესვლას ახერხებდნენ და ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ გაერთიანებულიყვნენ მუშებთან. თუ 26 თებერვალს დილით ჯარისკაცების ნაწილი კიდევ ესროდა დემონსტრანტებს, შუადღისას ისინი მუშებს კი არ ესროდნენ, არამედ პოლოკიელებს. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს მუშა ქალებმა. მუშა ქალები მჭიდრო რკალივით გარს ერტყმოდნენ ჯარისკაცებს, ხელს უტაცებდნენ ხიშტებზე და ურჩევდნენ მათ დახმარებოდნენ მუშებს საძულველი თვითმპყრობელობის დამხობაში. ჯარი რევოლუციის მხარეზე გადადიოდა, რის შედეგადაც 1917 წლის 27 თებერვალს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა რუსეთში.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილი დროებითი მთავრობა კაპიტალისტების, მეფაბრიკეების, მექარხნეების, ბანკირების, ვაჭრების, მსხვილი მემამულეებისა და კულაკების ინტერესების დამცველი აღმოჩნდა. დროებითმა მთავრობამ მენშევიკებისა და ესერების მხარდაჭერით ცარიზმის პოლიტიკა გააგრძელა. მიწა მემამულეებს დაუტოვა, ხოლო ფაბრიკა-ქარხნები — კაპიტალისტებს. მან უარი თქვა მსაათიანი სამუშაო დღის შემოღებაზე, ქალთა თანასწორუფლებიანობაზე, ხელუხლებლად დატოვა ძველი მართვა-გამგეობის სისტემა. მშრომელმა მასებმა ვერ მიიღეს ვერც ზავი, ვერც პური და ვერც თავისუფლება.



ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხი კვლავ გადაუჭრელი დარჩა. ამ საკითხზე ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. ბურჟუაზიის წარმომადგენლები ცდილობდნენ შეეჩერებინათ მუშა და გლეხ ქალთა ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის, ისინი ცდილობდნენ დაეჩერებინათ „ყველა ქალი“ მოთმინებით დაეცადათ დროებითი მთავრობის „დაპირებისათვის“.

ბურჟუაზიის წრიდან გამოსულ ქალთა აზრს იზიარებდნენ მენშევიკები და ესერებიც, რომლებიც დროებითი მთავრობის პოლიტიკას იცავდნენ. ბოლშევიკური პარტია მოთმინებით ახსნაგანმარტებითს მუშაობას ეწეოდა მშრომელ მასებში, ნიღაბს ხდიდა დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ ხასიათს, რომ დროებით მთავრობას კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთის იმპერიალისტებთან, რომ ის მშრომელ მასებს არ მისცემდა ზავს, პურსა და თავისუფლებას.

პარტია უდიდეს მუშაობას აწარმოებდა მასების ორგანიზაციისა და საბრძოლო რევოლუციური აღზრდის საქმეში. მან მოაწყო მუშაობა მუშა ქალთა შორის, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს რევოლუციის დასაწყისშივე. ბოლშევიკების ახსნაგანმარტებითი მუშაობა მასებში და კერძოდ ქალთა შორის უდიდეს გამოხმაურებას პოულობდა. მუშა ქალები მტკიცედ იცავდნენ თავინთ გადაწყვეტილებას — ებრძოლათ საბოლოო გამარჯვებამდე.

1917 წლის მარტში პეტერბურგში მოეწყო მუშა ქალთა მიტინგი. მიტინგზე ერთხმად იქნა აღიარებული, რომ პროლეტარ ქალთა მოძრაობას საერთო არაფერი აქვს ქალთა ბურჟუაზიულ მოძრაობასთან. პროლეტარ ქალთა მოძრაობა ფეხდაფეხ მისდევს მუშათა მოძრაობას, რომელთანაც მათ განუყოფელი ინტერესები აქვთ. მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „პროლეტარი ქალები იბრძვიან მუშებთან ერთად არა მარტო სრული დემოკრატიული თავისუფლებისათვის, არამედ თვით კაპიტალისტური წყობილების მოსპობისათვის“. ვ. ი. ლენინმა გამოააშკარავა დროებითი მთავრობის პოლიტიკა ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხში, როგორც ყალბი და მშრომელ ქალთათვის მიუღებელი.

დროებითი მთავრობა მიისწრაფოდა ყალბი მოქმედებით განემტკიცებინა ბურჟუაზიის ბატონობა, ჩაეხშო პროლეტარ ქალთა რევოლუციური მოძრაობა. მუშა ქალები არ გაჰყვნენ ბურჟუა ქალებს, რომლებიც უარყოფდნენ რევოლუციური ბრძოლის გზას. მათ აიჩიეს პროლეტარიატთან კავშირი და მათთან ერთად ბრძოლა თავისუფლებისათვის. ვ. ი. ლენინი გადაჭრით მიგვითითებდა, რომ „ჩვენ უნდა

შევერთოთ რევოლუციური ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ პროგრამასა და ტაქტიკასთან ყველა დემოკრატიული მოთხოვნის მიმართ: რესპუბლიკის, მილიციის, ხალხის მიერ მოხელეთა არჩევის, ქალთა თანასწორუფლებიანობის, ერების თვითგამორკვევის და სხვა მოთხოვნების მიმართ. ვიდრე კაპიტალიზმი არსებობს, ყველა ამ მოთხოვნის განხორციელება შეიძლება მხოლოდ გამონაკლისის სახით და ამასთან არსებული დამახინჯებული სახით“.¹

კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია დემოკრატიულ გარდაქმნებზე ლაპარაკი კი. დიდი ხანია არსებობს ბურჟუაზიული დემოკრატია. რომელიც სიტყვით, მთელი არსებით გაიძახის თანასწორობასა და თავისუფლებაზე, მაგრამ ვერც ერთმა „დემოკრატიულმა“ რესპუბლიკამ ვერ შეძლო ფორმალური თანასწორობაც კი.

ვ. ი. ლენინი, აყენებდა რა ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის აუცილებლობას, ამავე დროს მიუთითებდა: „არ შეიძლება მოხდეს სოციალისტური გადატრიალება, თუ მშრომელ ქალთა დიდი ნაწილი საგრძნობ მონაწილეობას არ მიიღებს მასში“.² ბოლშევიკური პარტიის დავალებით მშრომელ ქალთა შორის უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ მოწინავე ქალები: ნ. კ. კრუპსკაია, ი. თ. არმანდი, ა. მ. კოლონტაი, ე. დ. სტასოვა, თ. ა. ვარენცოვა, ა. ვ. არტიუხინა, ა. ვ. პომერანცევა და სხვ.

1917 წლის მარტიდან განახლდა ჟურნალ „რაბოტნიცას“ გამოცემა, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გახდა. ჟურნალში იბეჭდებოდა სტატიები, რომლებშიც მხილებული იყო დროებითი მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკა, ამავე დროს მშრომელ ქალებში დღითიდღე ძლიერდებოდა ომის საწინააღმდეგო განწყობილება, მათ არ სურდათ თავიანთ შვილებს, ძმებს, მამებსა და ქმრებს სისხლი დაეღვარათ კაპიტალისტების ინტერესებისათვის, ისინი გაბედულად გამოდიოდნენ ომის წინააღმდეგ და მტკიცედ ირანხმებოდნენ ბოლშევიკური პარტიის გარშემო.

ამავე დროს აგიტატორი ქალები ნიღაბს ხდიდნენ მენშევიკებისა და ესერების ლიდერების შემთანხმებულ საქმიანობას, რომლებიც, მხარს უჭერდნენ რა დროებით მთავრობას, ეწეოდნენ ანტიხალხურ იმპერიალისტურ პოლიტიკას. მშრომელი ქალები თანდათანობით რწმუნდებოდნენ ბოლშევიკების რევოლუციური პოლიტიკის სისწო-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 498.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 207.



„მე კი არ უნდა ავიღო ხელისუფლება, — უთხრა მათ ლენინმა, თქვენ, მუშებმა უნდა აიღოთ ხელისუფლება. წადით თქვენთან რიკებში და განუცხადეთ ამის შესახებ მუშებს“.¹ ვ. ი. ლენინის ამ პასუხმა დიდად აღაფრთოვანა და დარაზმა პროლეტარი ქალები. სწორედ ამის შემდეგ იყო ის, რომ მშრომელმა ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოქტომბრის რევოლუციის მომზადებასა და გატარებაში. მუშა ქალები უდიდეს დახმარებას უწევდნენ ბოლშევიკურ პარტიას კადეტებისა და შემთანხმებელი პარტიების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1917 წლის ოქტომბერში მუშა ქალების, მუშებისა და ჯარისკაცების მიტინგზე, რომელიც ქალების ინიციატივით მოეწყო, მიღებულ იქნა რეზოლუცია; მასში ნათქვამი იყო შემდეგი: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ სოციალისტ-რევოლუციონერებისა და მენ-შევიკ-ობორონცების წვრილბურჟუაზიული პარტიები ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობით ერთიმეორეზე გვაკარგვინებენ რევოლუციურ მიღწევებს, ჩვენ, მუშა ქალები, მუშები, ჯარისკაცები და მატრონები... ჩვენ ყველანი დამფუძნებელი კრების არჩევნებზე ხმას მივცემთ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიის იმ ერთადერთ პარტიას, რომელიც მტკიცედ იცავს მუშათა კლასის, ლატაკი გლეხობისა და რევოლუციური არმიის ინტერესებს.“

გაუმარჯოს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, ბოლშევიკების გამარჯვებას მომავალ არჩევნებში“.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში იყვნენ მშრომელი ქალებიც. ოქტომბრის რევოლუციის დღეებში როგოქსკო-სიმონოვის რაიონის მუშათა შეიარაღებულ ბრძოლას ხელმძღვანელობდა რ. ს. ზემლიაჩკა. სამხედრო ქარხნის „წითელი არტილერიის მუშა ქალმა ცეცუმმა, რომელიც ხელმძღვანელობდა წითელი მედიცინის დებს, თავისი რაზმით განსაკუთრებული გმირობა და მამაცობა გამოიჩინა; ოქტომბრის ბრძოლის დღეებში მის რაზმს არა მარტო დაჭრილები გამოჰყავდა, არამედ იარაღიც გადმოჰქონდა. მათ მტრის ორი ვარგისი ტყვიამფრქვევიც კი გადმოიტანეს და წითელ რაზმს გადასცეს. დაზვერვაში მონაწილეობას იღებდნენ დები ლიტვეიკოები, ჩერნოვა, პეროვა, რიბაკოვა, კონდრატიევა, ჩაიკა. ბოგაჩიევა, შტერნი და სხვ.

იუნკრების რაზმებს, რომლებიც წესრიგის აღსადგენად იგზავნებოდნენ სხვადასხვა უბანზე, მუშა ქალების სახით დიდი წინააღმდეგობები ხვდებოდათ. როგორც კი ისინი მოხვდებოდნენ მუშა ქალებ-

¹ ჟურნ. „კომუნისტა“, 1927, № 10, გვ. 28.




ბის ალყაში, მაშინვე კარგავდნენ „საბრძოლო განწყობილების“
 ნ. კ. კრუსკაია თავის მოგონებაში ოქტომბრის წინაღობების შესახებ
 წერდა: „ოქტომბრის წინაღობით, როცა ვიბორგის მუშები შეი-
 არაღდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, ემზადებოდნენ აგრეთვე
 მუშა ქალები. მასხოვს, დაახლოებით 50 მუშა ქალი მთელი ღამის
 განმავლობაში როგორ სწავლობდა კრილობების შეხვევას.“¹ მუშა
 ქალები ეხმარებოდნენ მუშებს იუნკრების განიარაღებაში. ბევრი
 ქალი შამხანით ხელში მონაწილეობას იღებდა ვაგზლის, ფოსტა-
 ტელეგრაფის, სახელმწიფო ბანკებისა და დაწესებულებების დაკა-
 ებაში. პეტროგრადში ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების გამა-
 რჯვების შემდეგ შეიარაღებულმა აჯანყებამ გაიმარჯვა მოსკოვში.
 მოსკოვის ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებაში მრავალმა ქალმა
 მიიღო მონაწილეობა. 25 ოქტომბერს მოსკოვის პარტიულმა კომი-
 ტეტმა შექმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი. მოსკოვის რაი-
 ონებში ჩამოყალიბდა ასეთივე კომიტეტები, მათთან შეიქმნა
 შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი სამეული. ქალაქის რაიო-
 ნის საბრძოლო სამეულის წევრი იყო ოლღა ათანასეს ასული ვა-
 რენცოვა. ეს რაიონი მოსკოვში ყველაზე დიდია. ამ რაიონში იყო
 მოსკოვის საბჭო, შეიარაღებული აჯანყების შტაბი. ამ რაიონის გა-
 მარჯვებაზე დიდად იყო დამოკიდებული მთელი მოსკოვის გამარჯვე-
 ბა. სამეულმა ღამით მიიღო ბრძანება დაეკავებინათ ფოსტა, ტელე-
 გრაფი და ტელეფონის სადგური. ვარენცოვამ მონაწილეობა მიიღო
 შეტევის გეგმის შედგენაში. ის ამხანაგებთან ერთად მთელი ღამე
 მუშაობდა საბრძოლო ოპერაციის მოსამზადებლად, მეთაურობდა
 დაზვერვას, ინსტრუქტაჟს უწევდა რაზმების მეთაურებს, აძლევდა
 განკარგულებებს, ამოწმებდა სამეულის მიერ გაცემული ბრძანებე-
 ბის შესრულებას. ქალაქის რაიონის სამეულის წევრები მუდამ რე-
 ვოლუციის მეზობლთა შორის იყვნენ და კრემლზე შეტევას აწარ-
 მოებდნენ. ვარენცოვა, ეს პატარა ქალი, იქ გაჩნდებოდა ხოლმე, სა-
 დაც გამწვავებული ბრძოლა იყო. კონტრრევოლუციამ კაპიტულა-
 ცია გამოაცხადა. შეიარაღებულმა აჯანყებამ მოსკოვში გაიმარჯვა.

5986
 1964

ოქტომბრის რევოლუციის მიმდინარეობის პერიოდში მრავალმა
 ქალმა მიიღო მონაწილეობა, როგორც აჯანყების ხელმძღვანელმა და
 სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრმა. მეზობლ წითელ-
 გვარდიელ ქალთა შეუპოვრობისა და მამაცობის შედეგად მრავალი
 რაზმი უკანდახევვიდან შეტევაზე გადადიოდა. მამაცობასა და
 გამბრძობას იჩენდნენ არა მარტო პეტროგრადისა და

1. ნ. კ. კრუსკაია, ავტობიოგრაფიული ხელნაწილები, თბილისი, 1925.

2. ა. ართილაყვა



დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში მძლავრი ბიძგი მისცა სოციალისტური რევოლუციის განვითარებას მთელ ჩვენს ქვეყანაში. კომუნისტური პარტიის მოწოდების საბასუხოდ — „მხარი დაუჭიროთ პროლეტარულ რევოლუციას“ — საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგები და კრებები, რომელთა მონაწილეების ნახევარს თითქმის ქალები შეადგენდნენ. მიტინგებსა და კრებებზე მხურვალედ მიესალმებოდნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას რუსეთის სამრეწველო ცენტრებში. 27 ოქტომბერს არსენალის რაიონის კრების რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „პეტროგრადში დამყარებულია საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მთავრობა; ეს არის მუშათა ჯარისკაცთა და გლეხთა მთავრობა, რომლის დასაცავად ჩვენ ფიცს ვდებთ რკინის კედელივით აღვიმართოთ და თავდადებით ვიბრძოლოთ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ყველა ძალისა და მის ნებსით და დაქირავებულ მსახურთა წინააღმდეგ“.

ასეთივე რეზოლუციები იქნა მიღებული საწარმო-დაწესებულებათა ყველა კრებაზე. კომუნისტური პარტიის გავლენა მშრომელ მასებში თანდათან გაიზარდა, მაგრამ ეს რევოლუციური სიტუაცია ვერ იქნა გამოყენებული ძალაუფლების ასაღებად.

საქართველოს მშრომელ მასებს დიდი მორალური ძალა შემატა ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობის მიერ სოციალ-პოლიტიკური ღონისძიებების (პირველი დეკრეტები) გატარებამ მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად. დეკრეტში ზავის შესახებ საბჭოთა მთავრობამ პირველმა აღმართა იმპერიალისტური ომის სიძნელეებისაგან კაცობრიობის ხსნის, სამართლიანი დემოკრატიული ზავისათვის ბრძოლის დროშა, რითაც სამუდამოდ იხსნა მშრომელი მასები მძიმე ბეგარისაგან — სისხლი ეღვარათ რუსეთისა და უცხოეთის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. დეკრეტმა ზავის შესახებ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოს მშრომელ მასებში და კერძოდ მშრომელ ქალებში. 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში გაიმართა საერთო-საგარნიზონო მიტინგი. მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „გაღიარებთ, რომ მხოლოდ მუშურ-გლეხურ მთავრობას შეუძლია მიანიჭოს ქვეყანას საყოველთაო მშვიდობა,

მისცეს პური მშვიდრით, მიწა გლეხებს, თავისუფლება ყველას და უბრალებლად ჩაახშოს კონტრრევოლუციური ცდა“.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულმა დეკრეტმა მიწის შესახებ წარმატებით გადაწყვიტა მშრომელი გლეხობის დიდი ხნის ოცნება. ამ დეკრეტმა იხსნა გლეხობა მემამულის კაბალისაგან. დეკრეტის თანახმად მიწის კერძო საკუთრება სამუდამოდ გაუქმდა და იგი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. გლეხებმა უფასოდ მიიღეს 150 მილიონზე მეტი დესეტინა მიწა და განთავისუფლდნენ ყოველწლიური გადასახადისაგან. არც ერთ სხვა კლასს, გარდა მუშათა კლასისა, არც ერთ სხვა პარტიას, გარდა კომუნისტური პარტიისა, არ შეეძლო ასე სრულად უზრუნველყო გლეხთა ეს დიდი გამარჯვება.

ამრიგად, მიწის დეკრეტის შედეგად გლეხობის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა მიწისათვის წარმატებით დამთავრდა. მაგრამ ეს დეკრეტი გლეხობას ათავისუფლებდა მხოლოდ რუსეთში, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. საქართველოში კი გლეხთა მდგომარეობა კვლავ უცვლელი რჩებოდა. კომუნისტური პარტია უდიდეს მუშაობას ეწეოდა გლეხობაში, რის შედეგადაც კიდევ უფრო გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა სოფლად. საქართველოს მშრომელ მასებში რევოლუციური სულისკვეთების კიდევ უფრო გაღვივებაზე დიდი გავლენა მთახდინა 1917 წლის 2 ნოემბერს საბჭოთა მთავრობის მიერ გამოქვეყნებულმა „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაციამ“, რომელმაც აღიარა რუსეთის ხალხების მტკიცე კავშირი. დეკლარაციის საფუძველზე გაუქმდა ყოველგვარი ეროვნული ჩავკრა და შევიწროება. საბჭოთა ხელისუფლების ძირითად ამოცანად დეკლარაცია აცხადებდა ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობას, საზოგადოების კლასებად დაყოფის სრულ ლიკვიდაციასა და სოციალიზმისათვის ბრძოლას.

მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა იყო ამ დროს საქართველოში. საქართველოს დიდმნიშვნელოვანი თავისებურება იყო ეროვნული სიჭრელე, რაც ხელს უწყობდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების საქმიანობას — შეესუსტებინათ პროლეტარიატის კლასობრივი სოლიდარობა, მისი ერთიანი ფრონტი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მენშევიკების ბატონობის პერიოდში ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო ეროვნული საკითხის გადაჭრაზე. მათ დაშნაკებთან და მუსავატელებთან ერთიანი მოქმედებით ამიერკავკასია ძმათა შორის სისხლის ღვრის არენად გადააქციეს. სწორედ ამ პარტიების ბატონობის პერიოდში გამწვავდა ერებს შორის ურთიერთობა ამიერ-



მაგდანა მგელაძე, კატო მიქაძე, მარიამ ორახელაშვილი, ბაბაღე პაპუნაშვილი, ოლღა პლიევა, მარიამ სტურუა, ოლღა სტურუა, სუვოროვა, მატრონე ფირცხალაშვილი, მარიამ ქვლივიძე, ნატალია ქიქოძე, მატრონე ქურიძე, შუშუნა შავერდოვა, პელაგია შუშიაშვილი, მარო ლომინაძე, მელანია ჩოდრიშვილი, ეკატერინე და მეტოცინცაძეები, ჯავაირა ხუტულაშვილი, ბარბაღე ჯაფარიძე, არუსიაკა პეტროსიანი-ცინცაძე და სხვა, რომლებიც თავიანთი მგზნებარე რევოლუციური მუშაობით რაზმავენენ საქართველოს მშრომელებს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ი. ბ. სტალინი. აფასებდა რა ამიერკავკასიაში შექმნილ მდგომარეობას, წერდა: „ოქტომბრის რევოლუციამ მკვეთრად შეცვალა მდგომარეობა. მან ერთი დაკვირვებით გადაატრიალა ყველა ურთიერთობა და დააყენა მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი. ლოზუნგმა „მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს!“ მეხვივით დაიქუხა ჩვენს ქვეყანაში და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები“.¹

მშრომელი მასების რევოლუციური ძალების ზრდასთან ერთად, კონტრრევოლუციური ძალების კონსოლიდაციაც ხდებოდა. ბოლშევიკურ პარტიას ბრძოლა უხდებოდა არა მარტო მენშევიკური მთავრობის, არამედ მათი დამცველი უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგაც.

მენშევიკებმა 1918 წლის 8 თებერვალს დახურეს ყველა ბოლშევიკური გაზეთი, ხოლო 10 თებერვალს მოიწვიეს ეგრეთ წოდებული ამიერკავკასიის სეიმი, რომლის მიზანი იყო რსფსრ-საგან ამიერკავკასიის გამოყოფის იურიდიული გაფორმება და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ბოლშევიკურმა პარტიამ ფართო მუშაობა გაშალა კონტრრევოლუციური სეიმის წინააღმდეგ. 10 თებერვალს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით თბილისის ცენტრში, ალექსანდრეს ბაღში, მოეწყო საპროტესტო მიტინგი, რომელსაც ათასზე მეტი ქალი და კაცი დაესწრო. ქალები მიტინგზე გამოცხადდნენ წითელი დროშებით. მენშევიკებმა დაარბიეს და ტყვიამფრქვევებით დახვრიტეს უიარაღო მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგი, 40-მდე უდანაშაულო ადამიანის სისხლით მორწყეს იქაურობა. დაჭრილთა შორის იყვნენ ქალებიც.

სხვა ქალებთან ერთად მიტინგში აქტიურ მონაწილეობას იღებდა არუსიაკა პეტროსიანი-ცინცაძე (კამოს და). ა. ცინცაძე 13 წლის

¹ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 57.



კავკასიაში და შეაფერხა სოციალისტური რევოლუციისათვის საჭირო არმიის შექმნა, რის შედეგადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ჩვევამ ჩვენს ქვეყანაში დაიგვიანა. კომუნისტური პარტიის მიერ ჩატარებული ახსნა-განმარტების შედეგად საქართველოს მშრომლებმა კარგად შეიგნეს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია ეროვნული თავისუფლების მოტანა.

რუსეთში დამყარებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ გაათავისუფლა მშრომელი ქალები მონობისა და ჩაგვრის ბორკილებისაგან, მოსპო ყოველგვარი უფლებბრივი შეზღუდვები ქალთათვის და მიანიჭა მათ მამაკაცის თანასწორი უფლებები სახელმწიფოებრივი, სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

1917 წლის 29 ოქტომბერს (ძვ. სტ.) მიღებული იქნა დეკრეტი 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ. ამ კანონით, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მშრომელი ქალებისათვის, აიკრძალა ზედმეტ საათებში მიწისქვეშა და ღამით მუშაობა ქალთათვის. 1917 წლის 18 დეკემბრის დეკრეტმა სამოქალაქო ქორწინებისა და განქორწინების შესახებ ძირფესვიანად მოსპო საოჯახო უთანასწორობა. ამ დეკრეტის საფუძველზე ქორწინება გახდა თავისუფალი, თანასწორი კავშირი, რომელიც დამყარებულია ურთიერთ-გაგების, პატივისცემისა და სიყვარულის საფუძველზე. ასე მოეღო ბოლო, როგორც ამას ვ. ი. ლენინი ამბობდა „გაუგონარ-საზიზღარ, სადაგლად ბინძურ, მხეცურად უხეშ კანონებს ქალის უთანასწორობის შესახებ“.¹

ამრიგად, ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ ერთი დაკვრით აღგავა ძველი კანონი, რომელიც ქალს ამცირებდა და მონურ მდგომარეობაში აგდებდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ რუსეთში; საქართველოში კი, სადაც მენშევიკები ბატონობდნენ, მშრომელი ქალები მოკლებული იყვნენ ამ თავისუფლებას, ამიტომ ისინი კიდევ უფრო აქტიურად ჩაებნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ პერიოდში საქართველოში საკმაოდ ცნობილი იყვნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმოხვეჭილი რევოლუციონერი ქალები: ეკატერინე ავალიანი, ნინო ალაჯალოვა, მარიამ არუთინოვი, ელენე ბაქრაძე, ბაბე ბოჭორიძე, მარიამ ბოჭორიძე, ოლღა გაბუნია, მარიამ გოგუაძე, ანაიდა ესაიანი, ოლღა კალანდაძე, ანეტა კალაძე, მარიამ კობიძე, ელისაბედ ლეჟავა, ნინო მახარაძე, ნატალია მგალობლიშვილი

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 127.



იყო, როცა თავისი ძმის, ცნობილი რევოლუციონერის, კამოს გულის თანაშემწე გახდა. მისი ჩანთა სასწავლო წიგნების ნაგლეჯად არალეგალური ლიტერატურისა და საბრძოლო იარაღის გადატან-გადმოტანისათვის იყო გამოყენებული. 1910 წელს ის შედის ბოლშევიკურ პარტიაში. 1911 წელს მან თავის დასთან — ჯავაირა პეტროსიან -ხუტულაშვილთან ერთად მოაწყო კამოს გაქცევა ციხიდან, რის გამოც ის დააპატიმრეს. ორ წელიწადნახევარს იჯდა ციხეში. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის კომიტეტის მუშაობაში: იყო მისი წევრი, მდივანი, მოლარე. 1916 წლის აგვისტოს ბოლოს სხვა ბოლშევიკებთან ერთად ა. პეტროსიანი დააპატიმრეს და განთავისუფლებულ იქნა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. პატიმრობიდან განთავისუფლებისთანავე მან მთელი ძალით განაგრძო მუშაობა თბილისის კომიტეტში, მაგრამ მენშევიკების დევნის გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო. 1919 წელს იგი იმალებოდა ინგუშეთის მიუვალ მთებში, 1920 წლის გაზაფხულზე ფეხით გადმოლახა კავკასიონის ქედი, ჩამოვიდა თბილისში და განაგრძო ბრძოლა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო ფილიპე მახარაძის, სანდრო მახარაძის, ლადო დუმბაძისა და სხვათა ციხიდან გაქცევა. პროპაგანდისტი ქალების ხელმძღვანელობით ტარდებოდა ქალთა ხალხმრავალი კრებები როგორც ქალაქად, ისე სოფლად, სადაც მშრომელ ქალებს აცნობდნენ ოქტომბრის რევოლუციის მონააოვარს და მშრომელი ქალების როლს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებაში. რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი მუშა და გლეხი ქალები მასობრივად ესწრებოდნენ მიტინგებს, კრებებს ქარხნებში, ფაბრიკებში, საამქროებში და სხვ.

ბოლშევიკი ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ არალეგალური პარტიულ ორგანიზაციების მუშაობაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ქიონია ანთიძის, სოფიო თალაკვაძისა და სხვათა მოღვაწეობა. ბოლშევიკური პარტიის დავალებით ქიონია ანთიძემ 1917 წლის ზაფხულში სოფელ ხევში (ოზურგეთის მაზრა) გახსნა სამკერვალო სახელოსნო. აიყვანა შევირდები. „ჩემს სამკერვალოში, — გადმოგვცემს ის ავტობიოგრაფიაში, — იმართებოდა არალეგალური კრებები და ნაწილდებოდა პარტიული დავალებები. 1917 წლის ოქტომბერში, პარტიული ორგანიზაციის დავალებით დავეხმარე ისიდორე და ოლიფანტე მამალაძეებს სოფელ ნაბელღავში არალეგალური პარტიული



ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში. აღნიშნულ სოფელში გავხსენი სამკერვალო სახელოსნო, ვიმუშავე ერთი თვე, რაც გამოვიყენე ავტორიტეტით გულური ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნისათვის, რომელიც შემდეგ ერთ-ერთ უძლიერეს ორგანიზაციად ითვლებოდა“.

სოფიო თალაკვაძემ სევასტი თალაკვაძესა და გ. სტურუასთან ერთად ენერგიული მუშაობა ჩაატარა ფოთსა და გურიის არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლად. რევოლუციონერი ქალები უდიდესი გამბედაობით ახერხებდნენ ციხეში მყოფ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელებთან კავშირის დამყარებას და იმათგან დირექტივის მიღებას. გურიის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის აქტიურ წევრს მარიამ კალანდაძეს დაავალა მიხაკხაკიასა და მამია ორახელაშვილის ნახვა ქუთაისის ციხეში და მათთან აჯანყების საკითხზე მოლაპარაკება, რაც მან პირნათლად შეასრულა. მარიამ ცინცაძემ, რომელიც ლანჩხუთის ციხეში იჯდა, ქლიბებით მოამარაგა პოლიტიკური პატიმრები. თეო ქურდიძეს კავშირი ჰქონდა ოზურგეთის ციხეში მყოფ პოლიტიკურ პატიმრებთან. 1917 წლის ივნის-ივლისში ბოლშევიკმა ქალებმა: ალვასი თალაკვაძემ, მარიამ ბეზსმერტნიამ და სხვ. აქტიური მონაწილეობა მიიღეს სათათბიროს (თვითმმართველობის) საარჩევნო კამპანიაში ბოლშევიკ დეპუტატების კანდიდატთა სასარგებლოდ. ჯავაირა ხუტულაშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა ბოლშევიკური პარტიის დავალება, გავმგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში (როგორც გენერლის მეუღლე) და ხელში ჩაიგდო საქართველოზე თეთრგვარდიელთა შემოტევის გეგმა.

1918 წლის დამდეგს დაიწყო მენშევიკური პარტიისაგან მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის მასობრივი ჩამოშორება. მუშებმა უარი განაცხადეს მენშევიკურ საბჭოებსა და პროფკავშირებში მონაწილეობაზე და ახალი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გამო დაიწყო მასობრივი გაფიცვები. გაფიცვები ჩატარდა მბეჭდავთა კავშირში, რკინიგზაზე, ოფიცინტების კავშირში, ტყებულის ქვანახშირის მადაროებში, ძირულაში (საფქვავ ქარხანაში), კავშირგაბმულობის დაწესებულებებში, კოლოფების ფაბრიკაში, სამრეცხაოებში და მთელ რიგ სხვა ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში. გაფიცულთა შორის იყვნენ ქალებიც. ქალებს ირჩევდნენ აგრეთვე საგაფიცვო კომიტეტების წევრებად. მუშათა საგაფიცვო მოძრაობის განვითარებამ და მუშათა მიერ წამოყენებული მოთხოვნებიც ცხადყო, რომ გაფიცვები გასცდა წმინდა



ეკონომიურ საზღვრებს და პოლიტიკურ ბრძოლაში გადაიზარდა. 1918 წლის მაისში თბილისში უკვე არსებობდა 31 პროფკავშირი და პროფკავშირების ცენტრალური ბიურო, სადაც მუშა ქალები აქტიურ როლს ასრულებდნენ.

მღელვარება დაიწყო მასწავლებელთა შემადგენლობაშიც. მასწავლებელთა პროფკავშირმა სიღნაღიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა მენშევიკურ მთავრობას: „სახალხო მასწავლებლები შიმშილობენ. სამი თვეა მათ ხელფასი არ მიუღიათ. საჭიროა მათი სასწრაფოდ დაკმაყოფილება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია გაფიცვა“.

1918 წლის დეკემბერში ხობიდან მიღებულ დეპეშაში იტყობინებოდნენ: „ჩვენ ვშიმშილობთ, ჩვენ ვიყინებით, დაგვაკმაყოფილეთ ჩვენ. მასწავლებელთა დავიწყება რესპუბლიკის პრესტიჟის დაცემაა. აუტანელი გაჭირვება და მასწავლებელთა ცრემლები მაიძულებს გამოვიყენო ჩემი უფლებები და გამოვიგზავნოთ თქვენ უშუალოდ ეს დეპეშა.“

ასეთი დეპეშები იგზავნებოდა საქართველოს ყველა რაიონიდან. კიდევ უფრო მძიმე იყო ლარიზი გლეხობის მდგომარეობა, მიწის სიმცირე, ბატონყმობის ნაშთები და მრავალი სხვა უბედურება ძლიერ ავიწროვებდა მშრომელ გლეხობას. საქართველოს საერთო ვითარება სულ უფრო დაძაბული ხდებოდა. სამეურნეო ნგრევა თანდათან ძლიერდებოდა. პროდუქტებზე ფასი თანდათან იზრდებოდა, ხშირი იყო შიმშილით სიკვდილის შემთხვევები. მუშები, გლეხები და ინტელიგენცია აუტანელ შეურაცხყოფასა და ჩაგვრას განიცდიდნენ.

ამრიგად, მენშევიკურ მთავრობას საქართველოს შინაურ ცხოვრებაში არ მოუხდენია არც ერთი არსებითი ხასიათის ცვლილება მშრომელთა სასარგებლოდ.

მენშევიკურმა მთავრობამ საქართველო მოსწყვიტა რევოლუციურ რუსეთს და კავშირი შეკრა დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმთან. საქართველო მენშევიკებმა ხელში ჩაუგდეს იმპერიალისტ მძარცველებს. მენშევიკების ეს გამცემლური პოლიტიკა მშრომელთა შორის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, რაც შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გადაიზარდა.

ვ. ი. ლენინის მითითების საფუძველზე საქართველოს ბოლშევიკებმა ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს მენშევიკებთან და შექმნეს დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და სხვა მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებში.



პარტიამ კარგად იცოდა, რომ რევოლუციისა და კონტრრევოლუციის შორის ბრძოლის ბედს საბოლოოდ პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა წყვეტდნენ, ამიტომ მათ ფართო მუშაობა გაშალეს მშრომელ მოსახლეობაში. მარქსისტული იდეების გავრცელებასა და რევოლუციური ძალების შემკვიდროვებაში დიდი როლი შეასრულა არალეგალურმა ბოლშევიკურმა პრესამ; ბროშურები, პროკლამაციები, ფურცლები, რომლებიც ხშირად თვით მენშევიკების სტამბებში იბეჭდებოდა, უდიდესი რაოდენობით ვრცელდებოდა მოსახლეობაში.

ქალები დიდ საბასუხისმგებლო სამუშაოებს ასრულებდნენ ბოლშევიკური პრესის რედაქციებში. მაგალითად, მარიამ ორახელაშვილი იყო არალეგალური გამომცემლობა „კრასნაია ზევზდას“ საგამომცემლო კომისიის წევრი. კატო ოკუჩავა მუშაობდა ქუთაისში „წითელი ვარსკვლავის“ საგამომცემლო კოლეგიაში, რომელიც არალეგალურ წიგნებსა და ბროშურებს უშვებდა. თვითონვე იყო მთარგმნელიც. კორექტორიც, ამკინძავიც, გამომშვებიც და სხვ. ამავე დროს მას კავშირი ჰქონდა პოლიტიკურ პატიმრებთან, ზრუნავდა ავადმყოფი პატიმრების საავადმყოფოში გადაყვანაზე, მონაწილეობდა პროპაგანდისტთა საქმიანობაში, დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა მშრომელ ქალთა შორის. შუშანა შავერდოვა პარტიამ გაგზავნა გაზ. „ვოლნის“ რედაქციის მდივნად, ანეტა კალაძე — გაზ. „ბრძოლისა“ და „კავკაზსკი რაბოჩის“ სტამბებში. არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვაში თავიანთი უმწიკვლო შრომით სახელი გაითქვეს ბაბე ბოჭორიძე-ლაშაძემ, მარო გოგუაძემ, სოფიო თოდრიამ და სხვ.

მშრომელმა ქალებმა კარგად იცოდნენ, რომ არალეგალური პრესა წარმოადგენდა მძლავრ იარაღს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი რევოლუციური იდეების პროპაგანდის, მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში. არალეგალური პრესის ბეჭდვასა და მის გავრცელებაში ქართველ ქალებს დიდი გამოცდილება ჰქონდათ მიღებული ჯერ კიდევ ადრე, 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში, რომლის შესახებ მიხა ცხაკაიამ, პარტიის მესამე ყრილობაზე მოუწოდა პარტიულ კომიტეტებს, რომ მუშაობის ეს მდიდარი გამოცდილება გადაეტანათ რუსეთის სხვა პარტიულ ორგანიზაციებში.

თავისუფლებისათვის მებრძოლ ქალებს, ხშირად მამაკაცის ტანსაცმელში გადაცმულთ, ფეხით ასეული კილომეტრი გაუვლიათ და ლამეები უთენებიათ, მაგრამ, პარტიის დავალება არალეგალური პრე-



სის გავრცელების საქმეში პირნათლად შეუსრულებიათ. მათ აღსანიშნავი არიან ეკატერინე შარაშიძე, ნადეჟდა ცაგარელი, ქსენია ცხოიძე, ლუბა ძინძიბაძე, ქეთო აბაშიძე, ვერა ქებულაძე, სალომე თოდრია, ელენე კუჭავა, სოფიო კალანდაძე, ლუბა ბახტაძე, აკვილინა სურგულაძე, რაისა პლიევა, ნინო ლომთათიძე, პატკულია ჩხატარაშვილი და სხვ.

პრესის საშუალებით პარტიის გავლენა მასებში თანდათან იზრდებოდა. კომუნისტური პარტია მშრომელ მასებს ცოცხალი ფაქტებით უჩვენებდა თავისი პროგრამისა და ტაქტიკის უპირატესობას. პარტია პრესაში ნიღაბს ხდიდა მენშევიკური მთავრობის გამცემლურ მოქმედებას. კავკასიის საოლქო კომიტეტი ერთ-ერთ მიმართვაში წერდა:

„მენშევიკების პატივცემული ბელადები საქართველოში განაგრძობენ მუშების, გლეხების, ჯარისკაცების უმანკო სისხლის დაღვრას. დახვრეტა, ჩაკვლა, ციხეებში ჩამწყვდევვა, სოციალიზმისათვის გზების დაკეტვა, რევოლუციური პოლიტიკის აზრის ჩახშობა, მუშათა პროფესიული მოძრაობის დაფრთხობა, — აი ის გზა, რომლითაც მენშევიკები მიდიან „დემოკრატიული“ სოციალიზმისაკენ... ფლიდი და მატყუარა მთავრობა საქართველოსი, თავისი ძალაუფლება ნიკოლოზ მეორესავით სიცრუით, მოტყუებით, ცილისწამებით და მშრომელი ხალხის ხოცვა-ჟლეტით რომ შეუნარჩუნებია...“

ყველამ იცის სიტყვიერი ბრძანება რამიშვილისა სახალხო გვარდიელების მიმართ — „სძარცვეთ, აიკელით, გაანადგურეთ ყველაფერი და შემდეგ ბოლშევიკებს დავაბრალოთ“. მაგრამ ქართველი მშრომელი ხალხი შეიგნებს რამდენად დამლუპველი და საბედისწეროა მისთვის ასეთი ნაბიჯები გზააბნეული და სასოწარკვეთილი ქართველი მინისტრებისა, დაამხობს მათ მუხანათურ მთავრობას, მტკიცე ნაბიჯით გაეშურება წითელ რუსეთთან შესახვედრად და მაგრად ჩამოართმევს რუს პროლეტარიატს ჩვენს განსათავისუფლებლად გამოწვდილ ხელს.“

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სამხარეო კომიტეტმა გამოყო აქტიური ამხანაგები და მიამაგრა როგორც მუშათა ორგანიზაციებს, ისე მაზრებს რევოლუციური მუშაობის გასაშლელად. ქუთაისის გუბერნიაში გაიგზავნა პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე მარიამ ორახელაშვილი. იქ ის არჩეულ იქნა საქართველოს ბოლშევიკური პარტიის საგუბერნიო კომიტეტის შემადგენლობაში. 1918 — 1920 წლების პერიოდში მ. ორახელაშვილი მოღვაწეობს

დასავლეთ საქართველოში, ამზადებს შეიარაღებულ აჯანყებას მენ-
შევიკური მთავრობის დასამხობად. 1921 წლის იანვარში მენშევიკ-
ებმა ის დააპატიმრეს და მოათავსეს ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი ბა-
თუმის ციხეში, საიდანაც განთავისუფლებულ იქნა მხოლოდ საბ-
ჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ.

1918 წლის ზაფხულიდან საქართველოში დაიწყო პროლეტარი-
ტის მასობრივი გაფიცვები. ამ გაფიცვებს სათავეში ჩაუდგა კომუ-
ნისტური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტი, რომელიც ამ დროს
არალეგალურად მუშაობდა. მუშები მოითხოვდნენ მატერიალური
პირობების გაუმჯობესებას, კოლექტიური ხელშეკრულების დადე-
ბასა და ადამიანური პირობების შექმნას.

საგაფიცვო მოძრაობაში მუშა ქალებმა აქტიური მონაწილეობა
მიიღეს. საპნის ქარხნის მუშა ქალების გაფიცვის მომზადებაში დიდი
მუშაობა ჩაატარა ელენე იოსების ასულმა აბაშიძემ. ელენე 14 წლი-
სა იყო, როცა მუშაობა დაიწყო. შემდეგ ის გადავიდა ბაქოში. იქ და-
ამთავრა მოწყალეების დების მოსამზადებელი კურსები და მუშაობა
დაიწყო მეთორმეტე ლაზარეთში. მასზე დიდი გავლენა მოახდინა
მისმა ნათესავმა ალიოშა ჯაფარიძემ. „ა. ჯაფარიძემ ამიხილა თვალე-
ბი, ჩამაბა რევოლუციურ მუშაობაში,“ — წერდა ის ავტობიოგრაფი-
აში.

ე. აბაშიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1918 წ. ბაქოში საბ-
ჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. პარტიის დავალებით 1918
წელს ელენე დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო კოჩიევის
საპნის ქარხანაში, სადაც ფართო რევოლუციური პროპაგანდა გააჩა-
და მუშებს შორის; ის ხელმძღვანელობდა ამ ქარხნის მუშების გა-
ფიცვებს, ასწავლიდა მუშებს თუ რა მოთხოვნები წაეყენებინათ
ქარხნის მეპატრონეთათვის. მალე ის სამუშაოდან დაითხოვეს, რო-
გორც „არასანდო“ პიროვნება. შემდეგ ე. აბაშიძემ მუშაობა დაიწყო
ხოშტარის საპნის ქარხანაში, სადაც დიდი ავტორიტეტით სარგე-
ბლობდა მუშა ქალებს შორის და დარაზმა ისინი მენშევიკური მთავ-
რობის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1920 წელს ელენემ აქტიური
მონაწილეობა მიიღო პირველი მაისის დემონსტრაციაში, რომელიც
მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული; ამის გამო
ელენე დააპატიმრეს და საქართველოდან გადაასახლეს (გადასახლე-
ბიდან ის დაბრუნდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ).

ელენე ეგნატეს ასული ბაქრაძე ბოლშევიკური პარტიის რიგებში
შევიდა 1917 წელს. იგი იყო მკერავ ქალთა პროფესიული კავშირის



წევრი, დაულალავად მუშაობდა მკერავ ქალთა შორის, არა ერთხელ მოეწყო მისი ხელმძღვანელობით მკერავი მუშების გაფიცვა საგაფიცვო კომიტეტის წევრი. 1918 — 1919 წლებში მისი ოჯახი რამდენჯერმე ააწიოკეს მენშევიკების მოხელეებმა, რის გამოც ე. ბაქრაძე ახერბაიჯანში გადავიდა სამუშაოდ, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. საქართველოში დაბრუნდა 1921 წლის მარტში.

მუშათა საგაფიცვო მოძრაობის ზეგავლენით დაიწყო გლეხთა რევოლუციური გამოსვლები. გლეხებმა უკვე შეიგნეს, რომ საბჭოთა რუსეთთან კავშირის დაწყარებისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების გარეშე შეუძლებელი იყო მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის დარაზმვაში დიდი როლი შეასრულეს თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შედეგად გადასახლებიდან დაბრუნებულმა რევოლუციონერებმა, რომელთა შორის მრავალი ქალი იყო, და ფრონტიდან დაბრუნებულმა რევოლუციურად განწყობილმა ბოლშევიკმა ჯარისკაცებმა. ბოლშევიკურმა პარტიამ უდიდესი მუშაობა გაშალა მშრომელთა შეიარაღებისათვის. ამ საქმეში პარტიას დიდ დახმარებას უწევდნენ ქალები.

თბილისის კომიტეტის დავალებით თედო მუშიაშვილმა თბილისში, ყვირილის ქუჩაზე გახსნა ხილის საწყობი, საწყობის ქვეშ მოაწყო სარდაფი, სადაც ჩასვლა შეიძლებოდა იატაკიდან. სარდაფში მოწყობილი იქნა იარაღის საიდუმლო საწყობი. შეიარაღებული აჯანყების მზადებასთან დაკავშირებით, თედომ თავის დას პელაგია მუშიაშვილს დაავალა დუშეთის მაზრის სოფელ ბაზალეთში გაეხსნა საფეიქრო სახელოსნო. ეს დავალება ახალგაზრდა ქალმა პირნათლად შეასრულა. სულ მალე სახელოსნოში 90 ქალმა დაიწყო მუშაობა. საქსოვი მანქანები და ძაფი თბილისიდან ურმით გადაჰქონდათ ყუთებით, რომელთა ქვეშ ოსტატურად აწყობდნენ შეფუთულ იარაღს. მცხეთაში პოლიცია ყუთებს ჩხრეკდა. ზედა ყუთების შემოწმების შემდეგ ყურადღებას აღარ აქცევდა ქვედა ყუთებს. ამრიგად, იარაღი მშვიდობიანად ჩაჰქონდათ ბაზალეთში. როდესაც მენშევიკებმა გააძლიერეს ჩხრეკა და იარაღის გადატანა შეფერხდა, პელაგიამ ახალ ხერხს მიმართა. შეიძინა კუბო, შიგ ჩაალაგა იარაღი, დადო ურემზე და რამდენიმე ქალით გაჰყვა ურემს ტირილით, რის შედეგადაც იარაღი მშვიდობიანად ჩაიტანა ადგილზე. გლეხებზე იარა-

ლის განაწილებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბაბაღე პაპუაშვილი, ტასო ლალიაშვილი და სხვ.

იარაღის შექმნასა და განაწილებაში აქტიურ როლს ასრულებდნენ აგრეთვე ოზურგეთის მაზრიდან: ელისაბედ უჯმაჯურიძე, მატრონა კვიციანი, აკვილინა ლომთათიძე, ივლიტა ცინცაძე და სხვ. 1919 წლის ნოემბერში ვლესუბოძის მონაწილეობას ნაგომარში მოწვეულ ბოლშევიკების კონფერენციაზე, — გადმოგვცემს ავტობიოგრაფიაში ელისაბედ უჯმაჯურიძე. — კონფერენციამ დამავალა აჯანყების დღისათვის უზრუნველმეყო იარაღით ის ამხანაგები, რომლებიც უნდა გამოსულიყვნენ. ეს დავალება მტკიცედ შევასრულე და მეც მივიღე აქტიური მონაწილეობა შეიარაღებულ აჯანყებაში“.

რევოლუციონერი ქალები მონაწილეობდნენ იარაღის შექმნასა და დანიშნულ ადგილზე მიტანაში, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში პოლიციელების განადგურებაშიც. ოღლა ცაგურიშვილის ოჯახში ხშირი სტუმრები იყვნენ კამო და ალიოშა ჯაფარიძე. მის ოჯახში მზადდებოდა ბომბები, რომლებიც ოღლას ჩაჰქონდა ბათუმში, ქუთაისში, თბილისში და სხვ. ოღლა ცაგურიშვილი დაპატიმრებულ იქნა ხაშურში ტერორისტული აქტის შესრულების დროს. მან ბომბი ესროლა და მოკლა გორის მაზრის უფროსი. ოღლა მოთავსებულ იქნა ახალციხის საპყრობილეში, მას ელოდა ჩამოხრჩობა, მაგრამ ის გადაარჩინა კამომ. კამომ და ოღლას მეუღლე ფონიამ მოახერხეს ოღლას ციხიდან გაქცევა. ო. ცაგურიშვილი თავის მეუღლესთან ერთად გაიქცა თურქეთში. საქართველოში ის დაბრუნდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

მუშათა რევოლუციური მოძრაობის უშუალო ზეგავლენით 1918 წლის დასაწყისიდან საქართველოს მთელ რიგ მაზრებში იფეთქა მენშევიკური ხელისუფლების საწინააღმდეგო გლეხთა აჯანყებებმა. აჯანყებული გლეხები აღარ ემორჩილებოდნენ ადგილობრივ მთავრობას, თავს ესხმოდნენ მემამულეთა სახლ-კარს, ხოცავდნენ მემამულეებს და იტაცებდნენ მათ მიწებს. პირველი ასეთი აჯანყება დაიწყო გორის მაზრაში, სადაც თავადაზნაურობა მრავალრიცხოვანი და მძლავრი იყო, ხოლო მშრომელი გლეხობა — უფრო მეტად შევიწროვებული. 1918 წლის ივნის-ივლისში საქართველოს თითქმის ნახევარი აჯანყების ალში იყო გახვეული. გლეხთა ბრძოლამ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო რაჭა-ლეჩხუმის, ზუგდიდის, სენაკის, დუშეთის, საჩხერისა და სხვ. მაზრებში.



ლენინის მარაში აჯანყების დაწყების პირველ დღესვე ბულებმა უბრძოლველად ჩაიგდეს ხელში სამაზრო ცენტრი და ამხეს მენშევიკების მთავრობა და ლენინის მარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ლენინის მარაში აჯანყების პერიოდში შეიარაღებული იყო 24 საზოგადოების 191 სოფლის მთელი მშრომელი მოსახლეობა. გაზეთი „ერთობა“ წერდა: „შეიარაღებულ ჯარისკაცებთან ეხედებით მოხუცებულებს და ქალებსაც“.

აჯანყებულებს უდიდეს დახმარებას უწევდნენ სოფლად დარჩენილი მოხუცები და ბავშვები, ისინი დიდ მანძილზე ქვეითად საქმელს უზიდავდნენ მეზობლებს, ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მტრის ძალების დაზვერვაში, ხოლო ხელჩართული ბრძოლის დროს გამოდიოდნენ კეტებით, ქვებითა და ნაჯახებით. ლენინის მარის გლეხთა აჯანყება მენშევიკებმა სისხლში ჩაახრჩვეს. აჯანყებულთა მეთაურები დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა შორის მრავალი ქალი იყო.

1918 წლის აპრილში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით აჯანყება დაიწყო სამხრეთ ოსეთში. აჯანყებულმა გლეხებმა ხელში ჩაიგდეს ცხინვალი, დაამხეს მენშევიკური მთავრობის ადგილობრივი ხელისუფლება და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ოსმა ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეიარაღებული აჯანყების მოწყობასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. მათ შორის აღსანიშნავია ოლღა პლიევა. ოლღამ 1918 წელს დაამთავრა გორის ქალთა გიმნაზია და ამავე წელს დაიწყო მუშაობა სამხრეთ ოსეთში. ის საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად რევოლუციურ მუშაობასაც ეწეოდა. 1919 წელს მენშევიკების ყრილობაზე პლიევამ მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, რომლითაც ამკარად დაგმო მენშევიკების დამსჯელი ექსპედიციის მოქმედება და მშრომელ მასებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდა. ამ გამოსვლით ო. პლიევამ მენშევიკური მთავრობის მხრივ დევნა განიცადა, რის გამო 1920 წელს იძულებული გახდა ვლადიკავკაზში გადასულიყო. სადაც საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული.

1918 წლის აპრილის დამლევს მთელი სამეგრელო შეიარაღებული აჯანყების ალში იყო გახვეული. აჯანყებულმა გლეხებმა მალე დაიკავეს მთელი რიგი ცენტრალური რაიონები. აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მშრომელი ქალებიც. გაზ. „ბორბა“ იუწყებოდა: „წალენჯიხის რაიონის სოფლებში ბოლშევიკმა ჯარისკაცებმა გადააყენეს მთავრობა. მართვა-გამგეობა ხელთ იგდეს და შეუდგნენ



საომარ სამზადისს. გლახობა ბოლშევიკებს მიემხრო. შემდეგ სოფლებში გაჩნდნენ გარეშე რაიონის წინამძღოლები და შეაკავშირეს წალენჯიხის რაიონის ჯარისკაცები სხვა რაიონის ჯარისკაცებთან. მოახდინეს მობილიზაცია 19 წლიდან 30 წლამდე და ყველა თოფქვეშ დააყენეს.

25 მაისს ჩხოროწყუში გამართეს მიტინგი. მიტინგს ჯარისკაცების გარდა დაესწრო აუარებელი ხალხი. ბოლშევიკებმა გააქრიტიკეს მენშევიკების მთავრობა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ყველა, დიდი და პატარა, ახალგაზრდა და მოხუცებული, ქალი და კაცი მიემხრო მათ“.

მენშევიკური მთავრობის რეგულარული, კარგად შეიარაღებული ჯარის დამარცხება აჯანყებულმა გლეხებმა შესძლეს მთელი მშრომელი მოსახლეობის მხარდაჭერის შედეგად. ქალები, ბავშვები და მოხუცები მთელი აჯანყების პერიოდში აჯანყებულებს აწვდიდნენ საომარ საჭურველსა და სურსათ-სანოვავებს. სამეგრელოს გლეხი ქალების გათვითცნობიერებაში დიდი წვლილი შეიტანეს ანია მამულაიამ, რომელიც ბოლშევიკური ორგანიზაციების საიმედო მოკავშირე იყო, ესმა სიჭინავამ. ვერა კიზირიამ, რომელიც უდიდეს პრობაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდა ქალებს შორის. ვერა კიზირიამ სხვა ქალებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1918 წლის ივნისში გლეხთა ყველაზე დიდი აჯანყება მოხდა დუშეთის მაზრაში. დუშეთის მაზრის გლახობა, ისე როგორც მთელი საქართველოს მშრომელი გლეხობა, იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამ ბრძოლაში მრავალმა რევოლუციონერმა ქალმა ჩაწერა ბრწყინვალე ფურცლები საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში. დუშეთის მაზრის გლახობას ადრეც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიასთან, მაგრამ ეს კავშირი გაწყვეტილ იქნა მენშევიკების ბატონობის პერიოდში. ბოლშევიკი აგიტატორები აცნობდნენ ბოლშევიკური პარტიის მოწოდებებს. ერთ-ერთ ასეთი მოწოდებაში ვკითხულობთ: „ამხანაგებო! უკვე ერთი წელი შესრულდა, რაც რუსეთში დაიწყო უდიდესი რევოლუცია. ძველი წყობილება დაინგრა და მის ადგილას ახალი უნდა აშენდეს. მაგრამ ეს ნგრევა-შენების პროცესი ერთი დაკვირვებით არ მოთავდება. დღეს უნდა მოხდეს მთელი ჩვენი ცხოვრების განახლება. ცხოვრება უნდა მოეწყოს სრულიად სხვა საფუძველზე, ვინემ დღემდე იყო. თქვენ იცით, რომ ჩვენში ეს განახლება ჯერ კიდევ შორსაა, უნდა დამყარდეს ნამ-



დვილი სახალხო მთავრობა, ე. ი. მთელი ძალაუფლება მუშაკთა
 ჯარისკაცების და გლეხების დეპუტატების ხელში უნდა გადავიდეს.
 ისე რომ არც სოფლად და არც ქალაქად სხვა რაიმე დაწესებულებებს
 ძალაუფლება არ უნდა ეკუთვნოდეს, ყველა მიწები როგორც სოფ-
 ლად, ისე ქალაქად მთელი ხალხის საკუთრებად უნდა გადაიქცეს
 და ისინი მუშებისა და გლეხების დეპუტატების ცენტრალურ და
 ადგილობრივ საბჭოების სრულ განკარგულებაში უნდა დარჩნენ“.

ბოლშევიკური პარტიის მოწოდებებმა უაღრესად დიდი როლი
 შეასრულეს საქართველოს მშრომელი გლეხობის დარაზმვასა და საბ-
 ჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

დუშეთის მაზრის გლეხ ქალთა დარაზმვაში დიდი როლი შეასრულა
 პელო შუშიაშვილისა და ბარბაღე პაპუნაშვილის თავდადებულ-
 მა მუშაობამ. ბაბაღე პაპუნაშვილმა რევოლუციური ნათლობა მიიღო
 ჯერ კიდევ 1905 — 1907 წლების რევოლუციაში. „ორი კვირის მე-
 ლოგინე ვიყავი, როცა ჩემი ქმარი დააპატიმრეს. — გადმოგვცემს
 თავის მოგონებაში ბაბაღე. — მელოგინე ქალმა ბევრი აწიოკება
 განვიცადა. მოვიდოდნენ სტრაჟნიკები და მირტყამდნენ მათარახს.
 ფეხშიშველს მარბენინებდნენ ყინვასა და თოვლში: „გვიოხარი,
 შენს ქმარს იარაღი სად აქვს დამალული, თორემ სიკვდილს ვერ
 ასცდებიო“. იარაღი მე თვითონ მქონდა დამალული, მაგრამ კრინტ-
 საც არ ვძრავდი. დამეცემოდა თავზე ეგზეკუცია, მართმევდა, რაც
 მებადა, მაგრამ მაინც ვერ გამტეხეს“.

ბაბაღე გადაასახლეს საქართველოდან. იგი ცხოვრობდა ვლადი-
 კავკაზში. გადასახლებიდან იგი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის
 გამარჯვების შემდეგ დაბრუნდა და აქტიური ბრძოლა დაიწყო მენ-
 შევიკური მთავრობის წინააღმდეგ. მას დავალებული ჰქონდა იარა-
 ლის შენახვა, პროკლამაციების გავრცელება, აგიტაცია-პროპაგანდა
 გლეხობაში. ბაბაღე ხშირად იარაღით ხელში დარაჯობდა ბოლშევი-
 კური ორგანიზაციის არალეგალურ კრებებს. მან აქტიური მონაწილე-
 ობა მიიღო დუშეთის მაზრის გლეხთა ბრძოლებში საბჭოთა ხელისუ-
 ფლებისათვის. დუშეთის მაზრის აჯანყებაში თავი ისახელეს ქალებ-
 მა: ნადეჟდა ჩილინდრიშვილმა, ტასო ლალიაშვილ-ჩიტაურმა, ვერა
 და მამო ნათელაშვილებმა, დარიკო ილურიძემ და სხვ.

გლეხთა აჯანყებებს დუშეთის მაზრაში პირველ ხანებში დიდი
 წარმატებები ჰქონდა. 1918 წლის 25 ივნისს ბოლშევიკების ხელ-
 მძღვანელობით მოწვეულ იქნა გლეხთა დეპუტატების სამაზრო ყრი-
 ლობა, რომელმაც დუშეთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამო-



აცხადდა. არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტი. აჯანყებულ გლეხთა გამარჯვებამ დიდად აღაშფოთა მენშევიკური მთავრობა, რომელმაც მთელი თავისი ძალების მობილიზაცია მოახდინა. აჯანყების რაიონში გადაისროლეს დიდი სამხედრო ძალა: კავალერია, არტილერია და ქვეითი ჯარი. მათ ეხმარებოდა გერმანელთა თვითმფრინავები, ინსტრუქტორებად ჰყავდათ გერმანელი ოფიცრები ძალთა უთანასწორო ბრძოლაში აჯანყება დროებით დამარცხდა. აჯანყების ხელმძღვანელების ნაწილი დახვრიტეს, ნაწილი კი დაპატიმრებულ იქნა. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ბაბაღე პაპუნაშვილი, პელო შუშიაშვილი და მრავალი სხვ.

1919 წლის დამდეგს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ვლადიკავკავიდან გადმოვიდა თბილისში, მან ხელში აიღო კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობა და დაიწყო მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამავე დროს არჩეულ იქნა თბილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობა. 1919 წლის 9 ივლისიდან დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „ვოლნამ“ (რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტის ორგანო). გაზეთმა „ვოლნამ“ დაუნდობლად ამხილა მენშევიკების კონტრრევოლუციური მოქმედება და დიდად შეუწყო ხელი მშრომელი მასების დარაზმვას პარტიის გარშემო.

1919 წლის აგვისტოსა და სექტემბერში საქართველოს ყველა მხარაში მოეწყო პარტიული კონფერენციები, სადაც განხილულ იქნა შეიარაღებული აჯანყებისათვის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების საკითხი. კონფერენციებზე გამოიჩინა, რომ აჯანყებას მხარს უჭერდა მუშათა კლასისა და გლეხობის უმრავლესობა. 1919 წლის სექტემბერში პარტიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ, რომელიც უნდა დაწყებულიყო ოქტომბრის რევოლუციის ორი წლის თავზე. სამხარეო კომიტეტმა მხარეებზე მიამაგრა პასუხისმგებელი პირები, რომელთა შორის მრავალი ქალი იყო. სამხარეო კომიტეტთან შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური შტაბი აჯანყების საერთო ხელმძღვანელობისათვის. მიღებულ იქნა აგრეთვე დადგენილება, რომ აჯანყება უნდა დაწყებულიყო საქართველოში ყველა მხარასა და რაიონებში ერთდროულად. მაგრამ ასეთი ენერგიული მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის მთლიანად ვერ განხორციელდა. აჯანყების დაწყებამდე ორი დღით ადრე მენშევიკებმა დააპატიმრეს აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი როგორც თბილის-



ში, ისე მაზრებსა და რაიონებში. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა, გადაწყვიტა აჯანყება გადადება ზესაფერი მომენტისათვის, მაგრამ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ დროზე ვერ მიიღო დირექტივა აჯანყების გადადების შესახებ და ამიტომ მათ აჯანყება დაიწყეს დანიშნულ ღღეს. ასე მოხდა მაგალითად, ლაგოდნხში 1919 წლის 24 ოქტომბერს, 8-9 ნოემბერს — გორის მაზრაში, ახალქალაქის რაიონში და სხვ.

აჯანყებამ ყველაზე დიდი გაქანება მიიღო ოზურგეთის მაზრაში, სადაც ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაციები იყო. თითქმის ყველა დიდ სოფელში არსებობდა პარტიული უჯრედები, რომელთა მუშაობაში მშრომელი ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ბოლშევიკი ავტორი ქალები მშრომელ გლეხობასა და ინტელიგენციაში უდიდეს პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ; მათ შორის აღსანიშნავია მარო ლომინაძე, ნატალია ქიქოძე, ნატალია ლომთაიძე, ალვასი თალაკვაძე, მეტია და კატო ცინცაძეები, ნატალია მგალობლიშვილი, ნატალია ჯიბუტი, ოლღა თოდრია (ჩხიკვიშვილი); ელისაბედ უჯმაჯურიძე და სხვ.

მიუხედავად მუშაობის მძიმე პირობებისა, კომუნისტურმა ორგანიზაციებმა მაინც შეძლეს მოეწყობათ დემონსტრაციები პირველი მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. ამ გამოსვლებში ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. მიტინგებსა და მანიფესტაციებზე გლეხები მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას და საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღდგენას. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა წარმოებდა საბრძოლო რაზმების შექმნისათვის ჯარის ნაწილებში, ყოფილ ჯარისკაცებში და სხვ. 1919 წლის ზაფხულში შედგა ბოლშევიკური პარტიის სამხარეო კომიტეტის თათბირი, რომელმაც დაწვრილებით განიხილა შეიარაღებული აჯანყების საკითხი და შექმნა სამხედრო შტაბი აჯანყების მოსამზადებლად. აჯანყების ხელმძღვანელი შტაბები შეიქმნა აგრეთვე რაიონის ცენტრებსა და დიდ სოფლებში, სადაც წევრებად ქალებიც შედიოდნენ. ჩოხატაურის რაიონის აჯანყების შტაბის წევრი იყო ოლღა კალანდაძე, რომელიც ხელმძღვანელობდა ერკეთის თემში დარჩენილი მენშევიკების განიარაღებას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აჯანყებულებისათვის არახელსაყრელი პირობების შექმნამ ხელი შეუშალა საყოველთაო აჯანყებას, მაგრამ რაკი აჯანყების გადადების საკითხი დროზე ვერ აღწინაშეს მაზრებს, ამიტომ აჯანყება ოზურგეთის მაზრაში დაიწყო მ

ნომბერს. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების წინააღმდეგ დააპატიმრეს ადგილობრივი პარტიული კომიტეტი, აჯანყებულებმა მაინც ძლეს მაზრის ზოგიერთ ადგილას — ჩოხატაურში, ლანჩხუთსა და სუფსაში — ძალაუფლების ხელში აღება და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება.

მენშევიკურმა მთავრობამ მთელი თავისი ძალები გამოიყენა ოზურგეთის მაზრის აჯანყების ჩასახშობად. აამოქმედა სავიწრო სასამართლოები, აჯანყების მრავალი ხელმძღვანელი დახვრიტეს, მრავალი საპყრობილეში ჩაყარეს. დაპატიმრებულთა შორის ბევრი იყო ქალი. მათგან აღსანიშნავია მ. ლომინაძე, ფედოსი კობიძე, ნინო და შუშანა ბერიძეები, მეტია ცინცაძე, კატო უჯმაჯურიძე, ალვასი თალაკვაძე, ნატალია ქიქოძე და სხვ. ოღლა კალანდაძემ, ნატალია ჯიბუტმა, მატრონე ფირცხალაიშვილმა, ელპიტე დარჩიამ ტყეს შეაფარეს თავი. ნატალია მგალობლიშვილი, ნატალია ლომთათიძე და სხვ. იძულებული შეიქნენ დროებით გასცლოდნენ თავის საყვარელ ოჯახს და სხვაგან მიმალულიყვნენ.

1919 წელს მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყება მოხდა სამტრედიისში. ამ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მარიამ, ოღლა და მელანია სტურუეზმა, კატო მიქაძემ და სხვ. მარიამ სტურუა ჯერ კიდევ ახალგაზრდა გოგონა იყო, როცა არალეგარული ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებებს მამაცურად ასრულებდა. ის ოღლა სტურუასთან ერთად ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას არა მარტო სამტრედიის რაიონში, არამედ ზუგდიდის მაზრაშიც. „მაროს უბე სავსე აქვს პროკლამაციებით. მიადგება ჭიშკარს და დაიძახებს: ჰე მაინძელო“ და „მასპინძელს“ ხელში პროკლამაციებს მიაჩეჩებს, თან დაუმატებს: სატირალში გეპატიყებიან ბიძია... და გარბის მეორე ეზოსაკენ. თუ მასპინძელი არ გამოეხმაურა, ჭიშკარზე ჩამოკიდებს ან სახლის აივანზე დატოვებს. ასე მივიდა ერთ დღეს ჭავჭავაძე. ჭავჭავი გვარდიელებით იყო სავსე. არც იქ დაიბნა. შეწუხებული სახე მიიღო. პროკლამაციები ხელში დაიჭირა. გოგონა გვარდიელებს თვალში მოუვიდა, ღრეჭით შემოეხვივნენ გარს. მარომ მათ პროკლამაცია მიაწოდა.

— ქუჩაში ვიპოვე, ძმებო! ფული მეგონა, თურმე ქალაღებში ყოფილა. კითხვა არ ვიცი წაიკითხეთ რა სწერია... გვარდიელები მგლებივით შემოეხვივნენ. მარო კი თვალსა და ხელშიუა გაქრა“.¹

¹ ეურნ. „საბჭოთა ქალი“ 1960, № 11.



შეიარაღებული აჯანყების მხადებასთან დაკავშირებით მარტო და რაოდენობით აგროვებდა იარაღს და ინახავდა ჩალის ზეინსტი. ერასტის ეზოში ჩალის ზეინი მთელი წელიწადი იდგა.

1919 წლის ნოემბერში მარიამ სტურუამ აქტიური მონაწილეობა მიიღო შეიარაღებულ აჯანყებაში, რის გამოც იგი დააპატიმრეს. „1921 წლის თებერვალში დაპატიმრებულ ვიქენი მენშევიკური მთავრობის მიერ,—წერს ავტობიოგრაფიაში მ. სტურუა,—პატიმრობის დროს განვიცდიდი ყოველგვარი სახის წვალებას, რის გამოც ავად გავხდი და მოვითხოვე ექიმთან წაყვანა. გამატანეს სტრახნიკები, რომლებმაც წამიყვანეს წვალებით, ცუდი გზებით, მაგრამ საავადმყოფოში არ შემიშვეს. გვარდიელები უხეშა სიტყვებით მომმართავდნენ და თოფის კონდახით მცემდნენ. ცემის შემდეგ ძირს ჩამომავდეს და იქვე წავიქეცი, მცველებმა კვლავ მცემეს, ადექი და წადიო. როგორც იქნა, მოვიკრიფე ძალა და წავედი საპატიმროში“. ამ ცემის შედეგად მარიამმა დაკარგა თვალები. ის საპატიმროდან განთავისუფლდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ.

ხონში საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ ნინო მეტუქე, ლუბა ბახტაძე, სონია და ეფროსინე ფარცხალაძეები და სხვ. ფოთში ნავსადგურის მუშების გამოსვლაში დიდი როლი შეასრულეს ელისაბედ ლეყავამ, ირინე მაკალათიამ და სხვ. ქუთაისში მენშევიკების საწინააღმდეგო აჯანყების მომზადებაში დიდი მუშაობა ჩაატარა საგუბერნიო კომიტეტის წევრმა მარიამ ორახელაშვილმა. თბილისის მუშებისა და მუშა ქალების დარაზმვასა და მათ ბრძოლაში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ დიდი მუშაობა გაშალეს ნინო მახარაძემ, ნ. ალაჯალოვამ, ოლღა გაბუნიაშვილმა, ბაბე ბოქორიძემ, ჯავაირა ხუტულაშვილმა, არუსიაკ ცინცაძემ, ანაიდა ესაიანმა, ეკატერინე ავალიანმა, ნატალია ლელაშვილმა, შუშუნა შავერდოვამ, სოფიო ართილაყვამ, თამარ და მელანია ჩოდრიშვილებმა, ბარბალე ჯაფარიძემ, თეკლე ბოლქვაძემ, ელენე ბაქრაძემ, მარიამ ქვლივიძემ და სხვ.

მენშევიკური მთავრობის რეპრესიები თავს დაატყდა არა მარტო მამაკაცებს, არამედ ქალებსაც. 1919 წლის ბოლოს მარტო ქუთაისის საგუბერნიო ციხეში პატიმართა შორის 20 ბოლშევიკი ქალი იყო. 1920 წლის ბოლოსა და 1921 წლის დასაწყისში, პოლი-

ტიკურ პატიმარ ქალთა რაოდენობა უჩვეულოდ გაიზარდა. 1920 წლის სექტემბრის ბოლოს თბილისის საპატიმროს პოლიტიკურ პატიმარ ქალთა განყოფილებაში ისხდნენ მატრონა, მარიამ და თამარ ცინცაძეები, მარიამ მშველიძე, ელისაბედ მამულაშვილი, სოფიო ოქრუაშვილი და სხვ. ქუთაისის ციხეში ისხდნენ მარიამ ორახელაშვილი, ნინო ალაჯალოვა, კატო მიქაძე, მარიამ და ოლღა სტურუები, ოლღა კალანდაძე, თეო ქურიძე და სხვ.

1920 წელს ახალი ძალით გაიშალა ბრძოლა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ყველაზე ხელსაყრელი პირობები მენშევიკური მთავრობის დასაშხობად დადგა 1921 წლის იანვარ-თებერვალში. საქართველოს აჯანყებულმა მასებმა დახმარებისათვის მიმართეს რუსეთის საბჭოთა მთავრობას, ლენინის მითითებით საქართველოს მშრომელი ხალხის დასახმარებლად დაიძრა XI არმია ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით. საქართველოს აჯანყებულმა მასებმა წითელი არმიის დახმარებით 1921 წლის 25 თებერვალს დაამხეს მენშევიკების ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ქართველი ხალხის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა უდიდესი ცვლილებანი მშრომელ ქალთა ცხოვრებაში, მამაკაცთან ერთად ქალებს გზა გაუხსნა თავისუფალი ბედნიერი და წარმტაცი მომავლისაკენ. „საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც მშრომელთა ხელისუფლებამ,—წერდა ვ. ი. ლენინი,—მისი არსებობის პირველ თვეებშივე, ფრიად გადამწყვეტი გადატრიალება მოახდინა კანონმდებლობის იმ ნაწილში, რომელიც ქალს ეხება. საბჭოთა რესპუბლიკაში ქვა-ქვაზე არ დარჩენილა იმ კანონებიდან, რომლებიც ქალს დამორჩილებულ მდგომარეობაში აყენებდნენ“.¹

ქალთა შრომის დაცვის, დედისა და ბავშვის ინტერესების დაცვის, საქორწინო და საოჯახო საკითხების შესახებ საბჭოთა ხელისუფლების პირველმა დეკრეტებმა ქალი გაათავისუფლა ოჯახური მონობისაგან და ხელი შეუწყო მის ჩაბმას საზოგადოებრივ საქმიანობაში. კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულმა ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სახალხო მეურნეობის აღდგენაში, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პროგრამის განხორციელებაში. პარტიის XXI ყრილობამ დასახა კომუნისტური საზო-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 28



საქართველოს
ხალხური
წიგნობა

გადოების აშენების გრანდიოზული ამოცანები. ჩვენი ქვეყნის მთელი
 ნიერი ქალები მამაკაცებთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელ-
 მძღვანელობით დიდი ერთუზიანობით იბრძვიან სკკპ XXI ყრილობის
 ისტორიულ გადაწყვეტილებათა ვადამდე და გადაჭარბებით შეს-
 რულებისათვის. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელი ქალები
 კიდევ უფრო გააძლიერებენ თავიანთ შემოქმედებით საქმიანობას
 კომუნიზმის მშენებლობის ყველა სფეროში, მთელ ენერგიასა და
 ცოდნას მოახმარენ საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცე-
 ბის საქმეს, გაბედულად წავლენ წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.



ავტორი—ალექსანდრა მანასეს ასული ართილაყვა

რეცენზენტი—ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. გუღბანიძე

რედაქტორი—ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ი. მელქაძე

გადეცა წარმოებას 6/VII-61 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/IX-61 წ.
ქალაქის ზომა 60×84; ანაწყობის ზომა 6×9,5; ფიზიკურ ფორმათა
რაოდენობა 2,5; პირობით ფორმათა რაოდენობა 1,8;

ფასი 10 კპპ.

შევ. № 1310.

ტირაჟი 11.900.

შე 04576

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტი“
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ Издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина 14.

620/331



8860 10 333.

А. М. Артилакვა

**ТРУДЯЩЕЕСЯ ЖЕНЩИНЫ ГРУЗИИ
В БОРЬБЕ ЗА СОВЕТСКУЮ ВЛАСТЬ**

(На грузинском языке)

Издание Общества по распространению
политических и научных знаний

Грузинской ССР

Тбилиси

1961